შპს ინტერბიზნესის აკადემიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. № 8. აკადემია განთავსებულია აღნიშნული მისამართის ხუთსართულიან შენობაში, რომელიც მთლიანად არის შპს ინტერბიზნესის აკადემიის საკუთრებაში, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი [redacted]). შპს ინტერბიზნესის აკადემიის საკუთრებაშია 1000,00 მ$^2$,აქედან სასწავლო ფართის ოდენობაა-467,83 მ$^2$.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | საქართველო, ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. № 8. | 1000 |
| | | |
| | | |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი №* [redacted]
- *შპს „გეოკადასტრი 2008" - ს მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზი .*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიის განკარგულებაშია სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორია, მოდულური პროგრამებისათვის განკუთვნილი A და B ტიპის გარემო, ასევე არის ადმინისტრაციისათვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____

28.03.18

*(ქალაქი,წელი)*

და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი ოთახები. აკადემიას გააჩნია 4 (A1;A2;A3;A4)-24 ადგილიანი, 3(A5;A6;A7)-12 ადგილიანი და 2(A8;A9) -20 ადგილიანი A გარემო. თითოეულ აუდიტორიაში დგას ყოველი სტუდენტისთვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი: A1, A4, A5 გარემოში არის 2-ადგილიანი მაგიდები, სულ 30 მაგიდა, ხოლო სხვა აუდიტორიებში არის გაერთიანებული მაგიდა-სკამები, სულ 120 ცალი. A9 აუდიტორია აღჭურვილია ყურსასმენებით, სულ 20 ცალი. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია მოდულური პროგრამისთვის საჭირო პროექტორებითა და პერსონალური კომპიუტერებით. არის ასევე ლეპტოპები და ტელევიზორები.

შპს ინტერბიზნესის აკადემიის განკარგულებაშია ორი B1 და B2 გარემო 24 კომპიუტერით და B3 გარემო, რომელშიც არის ლაბორატორია და გამოიყენება პროგრამისათვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“. B1, B2 გარემოში არის 12-12 პერსონალური კომპიუტერი თითოეული სტუდენტისთვის, 12-12 სკამი და მაგიდა, ასევე არის პრინტერი და სკანერი. კომპიუტერები აღჭურვილია აკადამიის მიერ მოთხოვნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსით: კომპიუტერებში ჩაწერილია საოფისე და საბუღალტრო პროგრამები (word, excel, powerpoint, oriss და სხვა). B3 გარემოში არსებობს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსით (სხვადასხვა ფორმის სახრახნისები, საზომი ხელსაწყოები, ადაპტერები, როუტერები, დაშლილ ფორმაში არსებული რამდენიმე პერსონალური კომპიუტერი და სხვა).

მთლიანობაში, აკადემიის საკუთრებაში არსებობს 221 ცალი სკამი, 120 მაგიდა-სკამი, 72 მაგიდა (მათგან 30 2-ადგილიანი), 5 პრინტერი, 8 ლეპტოპი, 35 პერსონალური კომპიუტერი, 2 პროექტორი, 5 ტელევიზორი, 1 ფოტოაპარატი, 1 ფაქსი და 2 კონდიციონერი (რომლებიც განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახებში), 12 სხვადასხვა ზომის წიგნების თარო და 10 დაფა. ყველა აღნიშნულ ინვენტარზე და ლაბორატორიაში არსებულ რესურსებზე არსებობს შესყიდვის ზედნადებები, რომლებიც წარმოადგინა ადმინისტრაციამ და შემოწმდა ვიზუალურად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*
- *ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

28.03.18

*(ქალაქი,წელი)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიის განკარგულებაშია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. აკადემიას გააჩნია ელექტროენერგიის მოწოდების უწყვეტი სისტემა, სს „თელას"-თან გაფორმებულია ხელშეკრულება (აბონენტი №4318713) და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. აკადამია უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით, შპს „GWP"-თან გაფორმებული აქვსხელშეკრულება (აბონენტი №751132716) და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. შესაბამისად ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია წყლის მარაგით. აკადამიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილის"-თან (აბონენტი №585955-540) და გააჩნიათ საკუთარი მრიცხველი, მაგრამ შენობის გაზიფიკაცია ჯერ არ არის შესრულებული. აკადემიის კუთვნილებაში არსებული შენობის გათბობა ხდება ელექტრო გამათბობლებით, რომლებიც აკადემიას გააჩნია 20 ცალი და დამატებით 15 კალორიფელი.

აკადემიაში ყველა სართულზე არის სველი წერტილები, ცალკე მამაკაცებისთვის და ცალკე ქალბატონებისთვის. სსსმ პირთათვის არის ცალკე გამოყოფილი და სპეციალურად აღჭურვილი სველი წერტილი მეორე სართულზე (აკადემიის შენობაში შესვლა ხდება პირდაპირ მეორე სართულზე, პირველი სართული ითვლება სარდაფად).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.*
- *წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით.*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისეელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნეს აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში/სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, ყველა პროგრამიდან შერჩევითად გადამოწმებულ იქნა მოდულებში/სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო სახელმძღვანელო არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

28.03.18

*[ქალაქი,წელი]*

ბიბლიოთეკაში. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში ჯამურად აღირიცხება 3676 წიგნი. ზოგიერთი წიგნი წარმოდგენილია ორ ეგზემპლარად. მოდულში/სილაბუსში მითითებული ელექტრონული რესურსი ჩაწერილია კომპაქტ დისკებზე, რეგისტრირებულია.

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგი. წიგნების საძიებო კატალოგი განთავსებულია ვებ-გვერდზე. ბიბლიოთეკას ემსახურება დირექტორის მიერ დანიშნული ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის მოვალეობები. ბიბლიოთეკაში არის 3-კომპიუტერი, 1-კომბაინი, 7-მაგიდა, 8-სკამი, განათება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური. აკადემიას აქვს სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი. ბიბლიოთეკის კარებზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00სთ-18:00მდე, შაბათს-10:00-16:00სთ-მდე. სამკითხველო დარბაზში არის 12 სკამი შესაბამისი მაგიდით. როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს ნახა, რომ აკადემიის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის (რომელიც გაწერილია მოქმედ დებულებასა და ახალ დებულებაში თავი V, მუხლი 16), რეალურად გამოყენება არ ხდება. ვიზიტის დროს აკადემიის მხრიდან მოხდა ცვლილება აღნიშნულ დებულებაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე.(იხილეთ დანართი 12)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარიზაციის წიგნით;
- წიგნების ფლობის დოკუმენტებით;
- სასწავლო კურსების მოდულებით/სილაბუსებით;
- მოქმედი დებულებით დამტკიცებული 2014წლის 6 მარტის ბრძანება#01-16 (თავი V)და ახალი დებულებით, დამტკიცებული დირექტორის 2017წლის 09ნოემბრის N01-44 ბრძანებით(თავი V)
- შრომის შინაგანაწესით (მუხლი8);
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით, ბიბლიოთეკის შინაგანაწესით;
- საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკართან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

28-03-18

[ქალაქი,წელი]

**2.4.** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიას სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი აქვს 5 პრინტერი, 8 ლეპტოპი, 35 პერსონალური კომპიუტერი, 2 პროექტორი, 5 ტელევიზორი, 1 ფოტოაპარატი და 1 ფაქსი (რომლებიც განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახებში). სასწავლო პროცესის წარმართვისა და აკადემიის მართვისთვის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს 2 პრინტერი, 3 ლეპტოპი და 6 პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც განთავსებული არიან ადმინისტრაციის სხვადასხვა ოთახებში. დანარჩენი ტექნიკა გადანაწილებულია სტუდენტებისთვის გამოყოფილ სასწავლო აუდიტორიებში.
აკადემიაში შეყვანილია ინტერნეტი და ყველა კომპიუტერი ჩართულია იტერნეტის ქსელში. კომპიუტერებში ჩაწერილია საოფისე და საბუღალტრო პროგრამები (word, excel, powerpoint, oriss და სხვა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ხელშეკრულებით ინტერნეტ-მომსახურების შესახებ.*
- *წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით.*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების საქმისწარმოების წესს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების" საფუძველზე და განსაზღვრავს აკადემიაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე, განცხადებებზე და წერილებზე მუშაობის წესს. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა აკადემიის ყველა თანამშრომლისათვის. იგი მოიცავს: შემოსული კორესპენდენციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

28.03.18

*{ქალაქი,წელი}*

რეგისტრაციის წესს; შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წესს; შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვისა და მასზე პასუხის მომზადების წესს; გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესს; კორესპონდენციის გაგზავნისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესს; ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს; ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესს; აკადემიის შიდა მოძრაობის დოკუმენტების (მოხსენებითი ბარათები, წარდგინებები, მიმართვები, რეკომენდაციები და ა.შ) რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს; დაარქივების წესს; დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს; დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესს.

ვიზიტის დროს გადამოწმდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც იყო დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა იყო უზრუნველყოფილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძ. 01-44; 2017წ. 09 ნოემბერი;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2017 წ. 09 ნოემბრის ბრძ. № 01-44-ის მიხედვით. აღნიშნული კრებულის თავი 6-ის, 21-ე მუხლის, პ. 9.1;9.2;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

28.03.18

(ქალაქი,წელი)

9.3 სრულად და მკაფიოდაა გაწერილი დაცვის სამსახურის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესები. ამჟამად აკადემიაში მოქმედებს დირექტორის მიერ 2014 წ. 06 მარტის ბრძ. № 01-06, რომელშიც შესაბამისი წესები განხილულია თავი 6-ის, 21-ე მუხლის, პ. 8.1; 8.2; 8.3.

ა) აკადემიას დადებული აქვს ხელშეკრულება თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურთან (5 ნოემბერი, 2014 წელი), რომელთა მიერ შედგენილია შენობის საევაკუაციო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ, ხელის ცეცხლმაქრი. აკადემიას ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „ელ+"-თან, რომელიც უზრუნველყოფს ცეცხლმაქრის დატენვას (ბოლო დატენვა მოხდა 9.02.18-ში, 1 წლით).

ბ) შენობის ყოველ სართულზე საევაკუაციო გეგმის მიხედვით გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და გეგმის მიხედვით მითითებულ ადგილებზე დამაგრებულია ხელის ცეცხლმაქრები.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად აკადემიაში არსებობს სამედიცინო ყუთი, სადაც ინახება წნევის აპარატი და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები. მედიკამენტები შემოწმებულია და ყველას აქვს ვარგისიანობის ვადა. სპეციალური ბრძანებით გამოყოფილია პიროვნება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია დაცვის სამსახურის სახით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული; თავი 6; მუხლი 21, პ. 9.1;9.2; 9.3.*
- *არსებული სამედიცინო ყუთით, რომელშიც ინახება საჭირო მედიკამენტები.*
- *უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.*
- *შესაბამის ადგილას გამოკრული ხარძარსაწინააღმდეგო ინვენტარითა და ევაკუაციის გეგმით.*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2017 წ. 09 ნოემბერის ბრძ. № 01-44-ის მიხედვით. აღნიშნული კრებულის თავი 6-ის, 21-ე მუხლის, პ. 9.4 სრულად და მკაფიოდაა გაწერილი სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების შენობაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

28.03.18
(ქალაქი,წელი)

თავისუფლად გადაადგილებისა და სწავლისთვის საჭირო ყველა აუდიტორიაში მოხვედრის მექანიზმები. ამჟამად აკადემიაში მოქმედებს დირექტორის მიერ 2014 წ. 06 მარტის ბრძ. № 01-06, რომელშიც შესაბამისი წესები განხილულია თავი 6-ის, 21-ე მუხლის, პ. 8.4.

აკადემიაში ძირითად მეორე სართულზე შესასვლელ კართან მოწყობილია პანდუსი, ასევე კიბეებზე, ყველა სართულზე გადასაადგილებლად დამაგრებულია ასაკეცი რკინის პანდუსები, თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე პირს დამოუკიდებლად გადაადგილება გაუჭირდება. იგივე მეორე სართულზე მოწყობილია სველი წერტილი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური სახელურებით, რომელთა დახმარებითაც სსმ პირებს შეეძლებათ სველი წერტილის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული; თავი 6; მუხლი 21, პ. 9.4.*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*
- *ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.) ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნესის აკადემიასაქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის მისამართია: www.interbusiness.edu.ge. აკადემიას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს "კავკასიის ციფრული ქსელ"-თან მომსახურების თაობაზე (29 ნოემბერი, 2016 წელი), ხოლო დომეინის და ჰოსტინგის სერვისით მომსახურეობა ხორციელდება შპს "proservice.ge"-ს მიერ (20.04.2016).

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: აკადემიის მისია, ისტორია, აკადემიის დებულება და შინაგანაწესი; სტრუქტურა; საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო კურსების სილაბუსები, მოდულები, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ინფორმაცია პროფესიული მასწავლებლების შესახებ; პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოგალერეა. ვებ-გვერდზე საჭირო ინფორმაციის განთავსებას ახორციელებს სპეციალურად გამოყოფილი პიროვნება და შესაბამისად ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

28.03.18

*(ქალაქი,წელი)*

ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. ვებ-გვერდს გააჩნია ინფორმაციის გაგზავნის ფუნქცია.
ამჟამად ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც უმაღლესი სასწავლებლის, ასევე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაცია. ე.ი. ვებ-გვერდი ასრულებს ორივე ტიპის სწავლებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვებ-გვერდი:*www.interbusiness.edu.ge.
- *მომსახურების გადახდის ქვითრები.*
- *ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.*

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების მისიაა: „განათლებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მეშვეობით და საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით მოამზადოს კვალიფიციური კადრები, რომლებიც ადაპტირებულნი იქნებიან მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამების განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებელების ჩართულობითა და სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის გაღრმავებით ხელი შეუწყოს ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობას, დასაქმებას და თვითდასაქმებას“.

ექსპერტთა ჯგუფს განემარტა, რომ აღნიშნული ტრანსფორმირებულ იქნა წინა მისიიდან იმ მიზნით, რომ იდენტიფიცირებული არ ყოფილიყო დაწესებულების ტიპი. შპს ინტერბიზნესის აკადემიას, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ავტორიზაციის ვადა და გეგმავს მისიაში, ისევე, როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------
----------------
28.03.18
*{ქალაქი,წელი}*

სტრატეგიაში ცვლილებების შეტანას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შემდგომ.

ექსპერტთა რეკომენდაციაა მისიაში გამოკვეთილი იყოს დაწესებულების პროფილი, კერძოდ, ჩანდეს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელთა მიზნებიც თავსებადია მისიასთან. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 11 სექტემბრის N01-40 ბრძანებით. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება მისი მიზნების მიღწევას. ეს გეგმები სხვა მიზნებთან ერთად ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას/ფუნქციონირების ხელშეწყობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია;
- ვებგვერდი http://www.interbusiness.edu.ge/
- დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 11 სექტემბრის N01-40 ბრძანება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

28.03.18

[ქალაქი,წელი]

## 3. ადამიანური რესურსი

### 3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნეს აკადემიის მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის დოკუმენტაცია, გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას ჰყავს -დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი, კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი,საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტი,საქმის წარმოების სპეციალისტი, ფინანსური მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, ბიბლიოთეკარი და დამლაგებელი.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რასაც ადასტურებს მათი პირადი საქმეების გადამოწმება.

კოლეჯში მიმდინარეობს რეესტრის წარმოება (evet.emis.ge), რეესტრში ასახულია ინფორმაციაკოლეჯის, პროგრამების, პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით;
- მოქმედი დებულებით დამტკიცებული 2014წლის 6 მარტის ბრძანება#01-16 (თავი VI) და ახალი დებულებით, დამტკიცებული დირექტორის 2017წლის 09ნოემბრის N01-44 ბრძანებით (თავი VI) ;
- რეესტრით (evet.emis.ge);

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

28.03.18

[ქალაქი,წელი]

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ინტერბიზნეს აკადემიაში წარმოდგენილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფსშესაბამისი კვალიფიკაციისმქონე პროფესიული პროგრამების 34 განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, რის შედეგადაც ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.მიერ. შპს ინტეერბიზნეს აკადემიის მიერ წარდგენილ თვითშეფასების კითხვარში წერია: "ამ ეტაპზე აკადემიაში ირიცხება 119 პროფესიული სტუდენტი, რომელთაც ემსახურება 34 პროფესიული მასწავლებელი. თანაფარდობა შეადგენს 119/34=3.5"

თუმცა რეესტრის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 117-ია, შესაბამისად, თანაფარდობა გამოდის 117/34=3.4).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებებით;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- სერთიფიკატებით;
- CV სადაც მითითებულია შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება;
- მოქმედი დებულებით დამტკიცებული 2014წლის 6 მარტის ბრძანება#01-16 (თავი XII, მუხლი 50) და ახალი დებულებით, დამტკიცებული დირექტორის 2017წლის 09ნოემბრის N01-44 ბრძანებით (თავი XI, მუხლი 32) ;
- შრომის შინაგანაწესით;
-
- რეესტრის მონაცემებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

28.03.18

(ქალაქი,წელი)

შეფასება:

√ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის წესი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები ხორციელდება შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებულის მიხედვით, რაც გულისხმობს, რომ შრომითი ხელშეკრულება აკადემიის პეროსნალთან ფორმდება დირექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პერსონალის დანიშვნასა და განთავისუფლებაზე უფლებამოსილია დირექტორი. პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები განსაზღვრულია აკადემიის შინაგანაწესით.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები. მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები მოიცავდა ხელშეკრულების ყველა სავალდებულო რეკვიზიტს.ადმინისტრაციულ პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში ფიქსირდებოდა ანაზღაურებადი შვებულების პირობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2017 წლის 09 ნოემბრის N01-44 ბრძანება;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის დანიშვნის ბრძანებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

28.03.18

{ქალაქი,წელი}

√ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განმახორციელებლის მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სადაზღვევო აგენტი** (მოდულური) | მეოთხე | სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254 | 87 | 117 | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია | 7 | 48 |
| 2 | **ბუღალტრული აღრიცხვა** (მოდულური) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156 | 99 | 129 | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია | - | 24 |
| 3 | **საოფისე საქმე** (მოდულური) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369 | 59 | 89 | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია. | - | 24 |
| 4 | **ღონისძიების ორგანიზება** (მოდულური) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 020370 | 61 | 91 | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია | - | 24 |
| 5 | **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი** (მოდულური) | მეხუთე | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063 | 95 | 125 | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია | - | 48 |

- ✓ *უნდა აღინიშნოს, რომ შპს ინტერბიზნეს აკადემიაში, რეესტრის მონაცემებით არსებული 117 აქტიური პროფესიული სტუდენტიდან, ცხრილში შეტანილია მხოლოდ სადაზღვევო აგენტის მოდულური პროგრამის IV საფეხურის -7 და პრაქტიკოსი ექთნის (მილევადი რეჟიმი)საგნობრივი პროგრამის V საფეხურის - 50 პროფესიული სტუდენტი,*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

--

*[ქალაქი,წელი]*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | **ინფორმაციის ტექნოლოგია** (მოდულური) | მესამე | მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171 | 60 | 75 | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია | - | 12 |
| 7 | **პრაქტიკოსი ექთანი** მილევადი რეჟიმი | მეხუთე | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია 090552 | 150 | | ქართული | ქ.თბილისი, 0178; შალვა ჯაფარიძის ქ. 8; შპს ინტერბიზნესის აკადემია | 50 | 61 |

*დარჩენილი 60 პროფესიული სტუდენტი ამჟამად სწავლობს შპს ინტერბიზნეს აკადემიის შემდეგ საგნობრივ პროგრამებზე:*

***ბუღალტერი III საფეხური****-7 პროფ.სტუდენტი*

***ოფისის მენეჯერი III საფეხური****- 17 პროფ.სტუდენტი*

***ინფორმაციული ტექნოლოგი III საფეხური****-11 პროფ.სტუდენტი*

***კრიმინალისტი(ფოტოდაქტილოსკოპისტი)*** *III -25 პროფ სტუდენტი*

*როგორც აკადემიაში განგვიმარტეს, აღნიშნულ პროგრამებზე სწავლის პროცესი დასრულდება 2017/18 სასწავლო წლის ბოლოს და აღნიშნული პროგრამების განხორციელება ამით შეწყდება, შესაბამისად შპს ინტერბიზნეს აკადემიამ ეს პროგრამები თვითშეფასების კითხვარში აღარ შეიტანა.*

## IX. თანდართული დოკუმენტაცია (დასკვნის პროექტს თან ერთვის 12 დანართი)

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

შპს ინტერბიზნესის აკადემია

2018 წლის 14,15,16 თებერვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

28.03.18

*(ქალაქი,წელი)*

ვიზიტის მიზანი: დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება /დადგენა

| თარიღი | აქტივობა | პასუხისმგებელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 14 თებერვალი | შპს ინტერბიზნესის აკადემია გამოცხადება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | |
| | შპს ინტერბიზნესის აკადემია ადმინისტრაციის/ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი:<br>დაწესებულების ინსტიტუციურ განვითარებასთან ,პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხედვის შესახებ ინფორმაციის მიღება |
| | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილზე შემოწმება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი:<br>პროფესიულ პროგრამებთან (მათ შორის მოდულურ პროგრამებთან)დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სასწავლო რესურსების შსახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება |
| | დაწესებულების ზოგადი მარეგულირებელი და პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაციის განხილვა | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი:<br>ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის დადგენა |
| | თანამშრომლების პირადი საქმეების ,მათ შორის პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების გადამოწმება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი:<br>ადმინისტრაციული /დამხმარე პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა |
| 15 თებერვალი | პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი:პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

28.03.18

{ქალაქი,წელი}

| | | | |
|---|---|---|---|
| | ადგილზე არსებული მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გადამოწმება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი :<br>განსახორციელებელ პროგრამებთან შესაბამისობის დადგენა |
| | ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსების დადგენა | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი :<br>განსახორციელებელ პროგრამებთან შესაბამისობის დადგენა |
| | პრაქტიკის ობიექტების გადამოწმება -დათვალიერება და მათთან გაფორმებული ხელშეკრულების /მემორანდუმების პირობების შემოწმება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი:<br>პრაქტიკის ბაზის ინფრასტრუქტურის შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ პროგრამებთან მიმართებაში შერჩევითად ბაზების ადგილზე დათვალიერება |
| 16<br>თებერვალი | შეხვედრა სტუდენტებთან | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი :პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება |
| | პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პედაგოგებთან გასაუბრება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | მიზანი :პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება |
| | დასკვნაზე მუშაობა, ვიზიტის სავარაუდო შედეგების განხილვა დაწესებულების ადმინისტრაციის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | |
| | ვიზიტის დასრულება | ირმა გრძელიძე<br>ნათია გიორგობიანი<br>ევგენი გუგულაშვილი | |

28.03.2018



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

----------------------

28.03.18

{ქალაქი,წელი}